

kvI eva

nafi c msaj ul Ta insti tut is mi marT
sazogadoebi s i nformi rebul oba da
damoki debul eba

Tbi l i si 2007



kvI eva momzadda proeqtis "sasamarTI os xel isufli ebis mxardaWera"
fargl ebSi, romel sac axorciel ebs gaeros ganviTarebis programa (UNDP)
saqarTvel os uzenaes sasamarTI osTan TanamSroml obi T.

kvI eva ganaxorciel a kompania "nikol o m"-ma

სარჩევი

| | |
|--|----|
| Sesavali | 1 |
| ძირითადი დასკვნები და შედეგები | 2 |
| ზოგადი რეკომენდაციები | 4 |
| კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი | 5 |
| დემოგრაფიული პარამეტრები | 5 |
| ინფორმირებულობა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ | 12 |
| დამოკიდებულება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების მიმართ | 16 |
| დამოკიდებულება ამჟამად არსებული სასამართლო სისტემის მიმართ | 21 |
| რესპონდენტთა დამოკიდებულება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ | |
| ინფორმაციის მიწოდების შემდეგ | 23 |
| მოლოდინები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ | 29 |

Sesaval i

saqarTvel os samarTI ebrivi saxel mwifod Camoyal ibebis gzaze sasamarTI o reformis efeqturad ganxorciel eba erT-erT mTavar prioritetad iqca. samarTI ebrivi reformebis procesi ramdenime mimarTul ebiT warimarTa da institucional ur xasiaTs atarebda. sasamarTI o reformis fargl ebSi ukve amoqmedda qarTul i marTI msaj ul ebisatvis axal i, spikeri da magistrati mosamarTI eebis instituti. amJamad saqarTvel oSi sasamarTI o reformis axal i etapi dadga. qarTul i samarTI is sivrceSi Semodis srul iad axal i instituti _ nafic msaj ul Ta sasamarTI o.

nafic msaj ul Ta instituti saqarTvel os samarTI ebrivi sistemisatvis unikal uri movl enaa. qarTul i samarTI ebrivi istoria aseTi institutis moqmedebas ar icnobs, Tu ar CavTvl iT sabWoTa kavSiris dros arsebul saxal xo msaj ul ebs, romel ic warmoadgenda nafic msaj ul Ta modificirebul sistemas, magram ver gaamarTI a da gauqmda.

saqarTvel os konstituciit cal saxad ganisazRvra, rom qarTul marTI msaj ul ebaSi unda damkvidrdes nafic msaj ul Ta sasamarTI o. Sesabamisad, kanonmdebel is mier daiwyo muSaoba am kuTxiT da sisxl is samarTI is saproceso kodeqsis proeqtSi nafic msaj ul Ta sasamarTI os special uri Tavi daeTmo.

gaeros ganvitarebis programa (UNDP) mxars uWers saqarTvel oSi sasamarTI o reformis ganxorciel ebas da saqarTvel os uzenaes sasamarTI osa da iusticiis umaRI es skol asTan TanamSroml obiT axorciel ebs "sasamarTI o xel isufl ebis mxardaWeris" proeqts. proqtis mizani sasamarTI o xel isufl ebis gamWvirval obis, magistrati da spikeri mosamarTI is institutis, mediis gaZl ierebis da sasamarTI o sistemasa da marTI msaj ul ebaze sazogadoebis cnobierebis amaRI ebis xel Sewyobaa.

2008 wl idan proeqti iwyebis saqarTvel oSi nafic msaj ul Ta institutis danergvis da efeqturad amoqmedebisatvis mxardaWeras. am mimarTul ebiT proeqtma ukve daiwyo muSaoba da proeqtis fargl ebSi momzadda sociol ogiuri kvl eva saxel wodebiT "nafic msaj ul Ta institutis mimarT sazogadoebis informirebul oba da damokidebul eba".

kvl evis mizani gaxl daT saqarTvel oSi nafic msaj ul Ta institutis SemoRebasTan dakavSirebiT sazogadoebis damokidebul ebis, informirebul obis, mol odinebis da mzad yofnis donis dadgena da Sefaseba, rac proeqts daexmareba nafic msaj ul Ta sasamarTI os SemoRebasa da sazogadoebis informirebul obasTan dakavSirebul i RonisZiebebis marTebul da swor dagegmvaSi.

kvl eva ganaxorciel a Kkompania "nikol o m"-ma. gamoikiTxa 1500 respodenti, ramac uzrunvel yo SerCevis Secdomis 2,55%-iani cdomil eba. kvl evis strategiidan gamomdinare, moxda miznobrivi j gufebis _ eTnikuri da rel igiuri umciresobebis, axal gazrdebis, samoqal aqo sazogadoebis warmomadgenl ebis reprezentatiul i CarTva proeqtSi. kvl evis dros moxda respodentTa genderul i bal ansis dacva, asakobrivi da social uri mdgomareobis gaTval iswineba.

Tbil isis garda kvl eva moicavda samegrel os, imeretis da kaxetis regional ur centrebs: zugdids, quTais da Tel avs.

kvl evis Sedegad gamoikveTa ramdenime mimarTul eba da tendencia, romel Ta gaTval iswinebac mniSvel ovnad gazrdis nafic msaj ul Ta institutis amuSavebis meqanizmebis efeqturobas da sazogadoebis iformirebul obis dones.

ძირითადი დასკვნები და შედეგები

- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ ზოგადი ინფორმირებულობის ხარისხი საკმაოდ მაღალია: რესპონდენტთა უმრავლესობას სმენია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ.
- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის ძირითად წყაროებს ტელევიზია, მხატვრული ფილმები და მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს. შესაბამისად, ინფორმაციის შინაარსი ხშირ შემთხვევაში, კონკრეტულ ცოდნას მოკლებული – ზოგადი ხასიათისაა.
- ინფორმირებულობის ხარისხი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქართველოში შემოღების შესახებ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზოგადად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ინფორმირებულობის ხარისხს: რესპონდენტთა უმრავლესობას არ სმენია იმის შესახებ, რომ საქართველოში უნდა ამოქმედდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.
- საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს ტელევიზია წარმოადგენს.
- დამოკიდებულება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მიმართ დადებითია.
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელი მოტივაციები რიგ შემთხვევაში არაარგუმენტირებული, კონკრეტულ ხასიათს მოკლებული ან არაადეკვატურია.
- დადებითი მოტივაციების სპექტრი უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე – უარყოფითის.
- კონკრეტული ხასიათის დადებით მოტივაციებს შორის აქცენტი პიროვნულ ფაქტორებზე კეთდება.
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ საზოგადოების სავარაუდო დამოკიდებულების შესახებ მსჯელობისას რესპონდენტები მეტ კრიტიკულობას ამჟღავნებენ ამჟამად არსებული სასამართლო სისტემის მიმართ.
- იკვეთება სკეპტიკური დამოკიდებულება თვითონ საზოგადოების მზაობის შესახებ რეფორმისადმი და ჰიპოთეზა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას საზოგადოების არასამართლებრივი მენტალიტეტი შეუშლის ხელს.
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეფასება დამოკიდებული აღმოჩნდა ეკონომიკურ პარამეტრებზე – შემოსავლებსა და ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასებაზე: მკვეთრად დადებითი განწყობა გამოიკვეთა რესპონდენტთა იმ კლასტერებში, რომლებიც საკუთარ ოჯახს აფასებენ როგორც ძალიან ღარიბს ან მდიდარს. საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე და საშუალო შემოსავლის მქონე კლასტერების დამოკიდებულებები შედარებით თავშეკავებულია.
- დამოკიდებულება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ, საშუალოდან ნეგატიურისკენ არის გადახრილი.

- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ ინფორმირებულობის ზოგადი ხასიათის ფონზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტთა მკვეთრად დადებით განწყობას გარკვეულწილად სწორედ ამჟამინდელი სასამართლო სისტემის მიმართ გამოვლენილი კრიტიკული განწყობა განსაზღვრავს.
- დამოკიდებულებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ ძირითადად ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პრინციპები განაპირობებს და არა გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ყველაზე მეტი წონა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის წესს, ფუნქციის შესრულებაზე უარის თქმის მექანიზმებსა და მსაჯულთა მიმართ წაყენებულ აკრძალვებს მიენიჭა, რაც იმის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფორმალურ ფაქტორებთან შედარებით, პიროვნულ ფაქტორებს ენიჭება უპირატესობა.
- გამოვლინდა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის სამართლიანობისა და ობიექტურობის განსაკუთრებული მნიშვნელობა. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების მიმართ იკვეთება საკმაოდ მაღალი ხარისხის სოციალური მოთხოვნა/შეკვეთა, მაგრამ ამ მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს არა სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობა, სამართლიანობა, მისაღებობა საზოგადოების მიერ.
- ზოგადი განწყობა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ უფრო დადებითია, ვიდრე მოლოდინი ჩვენს ქვეყანაში ამ ინსტიტუტის წარმატებული ფუნქციონირების შესახებ.
- რესპონდენტთა უმრავლესობა აცნობიერებს, რომ სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს კონტროლისაგან, მაგრამ დაახლოებით 25% (დაახლოებით ყოველი მეოთხე დამოკიდებული) თვლის, რომ მისი კონტროლი აუცილებელია.

ზოგადი რეკომენდაციები

- როგორც კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რესპონდენტთა დადებითი დამოკიდებულება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ ჯერ-ჯერობით ინფორმირებულ, გაცნობიერებულ არჩევანს არ ემყარება: იგი ძირითადად მხატვრული ლიტერატურიდან და ფილმებიდან მიღებულ ზოგად შთაბეჭდილებებს ეფუძნება და არა ზუსტ ინფორმაციას. ამან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედების შემდეგ შეიძლება პოზიციების გადასინჯვა გამოიწვიოს¹. ამიტომ, მიზანშეწონილია საინფორმაციო კამპანიის წარმოება ამ მიმართულებით – საზოგადოებისათვის ზუსტი და ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება.
- რესპონდენტთა უმრავლესობას არ სმენია იმის შესახებ, რომ საქართველოში უნდა ამოქმედდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – შესაბამისად, აუცილებელია ამ ინფორმაციის მიზანმიმართული გავრცელება, რათა მოულოდნელობის ეფექტმა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დაბნეულობა არ გამოიწვიოს.
- იქიდან გამომდინარე, რომ ინფორმაციის გავრცელების ძირითად წყაროს ტელევიზია წარმოადგენს, რეკომენდებულია ამ რესურსის გამოყენება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების დადებითი და მდგრადი ხასიათის დამოკიდებულების ფორმირებაში.
- კვლევის შედეგების მიხედვით, დამოკიდებულებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ ძირითადად ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პრინციპები განაპირობებს და არა გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები, ამიტომ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ საზოგადოებაში მდგრადი ხასიათის დადებითი დამოკიდებულების ფორმირების მექანიზმების დაგეგმვისას მიზანშეწონილია, რომ აქცენტი სწორედ ამ ასპექტზე გაკეთდეს, მაგრამ აუცილებელია პარალელურად საზოგადოების მიზანმიმართული ინფორმირება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების უპირატესობების შესახებ.
- რადგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის სამართლიანობასა და ობიექტურობას, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ თუ რა კავშირია სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას შორის; როგორ და რამდენად უზრუნველყოფს ამას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება².

¹ ასეთი რეკომენდაციის სასარგებლოდ ის შედეგიც მეტყველებს, რომ მოლოდინი ჩვენს ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წარმატებული ფუნქციონირების შესახებ ნაკლებად დადებითია, ვიდრე ზოგადი დამოკიდებულება ამ ინსტიტუტის მიმართ.

² ასეთი რეკომენდაციის სასარგებლოდ ის შედეგიც მეტყველებს, რომ რესპონდენტთა საკმაოდ მობრუნებული ჯგუფი (დაახლოებით ყოველი მეოთხე გამოკითხული) ვერ აცნობიერებს სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობას და თვლის, რომ მისი კონტროლი აუცილებელია.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი

ნაწილს მსჯელობს ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლის მიზნით, 2007 წლის October Si გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს დედაქალაქსა და სამ რეგიონულ ცენტრში: ქუთაისში, ზუგდიდში, თელავში.


შერჩევის მოცულობა: 1500 რესპონდენტი.

რესპონდენტების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

ზოგადი დემოგრაფიული პარამეტრები

სქესი:

- მდედრობითი 56.7%
- მამრობითი 43.3%³



რესპონდენტთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:


- 18 წლიდან 24 წლის ჩათვლით 15,2%
- 25 წლიდან 34 წლის ჩათვლით 19,9%
- 35 წლიდან 45 წლის ჩათვლით 20,9%
- 46 წლიდან 54 წლის ჩათვლით 17,6%
- 55 წლიდან 64 წლის ჩათვლით 12,3%
- 65 წლის ან მეტი ასაკის 13,9%

³ რესპონდენტთა დიფერენცირება სქესის მიხედვით მოხდა გენდერული დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით

ეროვნება:

- ქართველი 93.6%
- სხვა 6.4%


ეროვნება



რელიგიური აღმსარებლობა:


- მართლმადიდებელი ქრისტიანი 95.3%
- სხვა 4.7%

რელიგიური აღმსარებლობა



განათლება:

- არასრული საშუალო 2.1%
- საშუალო 27.7%
- საშუალო-პროფესიული 13.5%
- უმაღლესი⁴ 57.0%



პროფესია:

პროფესიათა სპექტრი ჯერ კიდევ საბჭოურ ინერციას ასახავს: ყველაზე ხშირ პროფესიათა შორის სახელდება საბჭოთა კავშირში პრესტიჟულად მიჩნეული პროფესიები:

- ეკონომისტი 17.0%
- ინჟინერი 12.5%
- ექიმი 11.9%
- სხვადასხვა პროფილის მქონე პედაგოგი 10.7%
- იურისტი 5.6%


სხვა პროფესიათა რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდეგნაირია:

- ჰუმანიტარული პროფილის უმაღლესი განათლება 14.0%
- არაჰუმანიტარული პროფილის უმაღლესი განათლება 13.3%
- ლიტერატურა, ხელოვნება, სპორტი 6.7%
- ხელოსანი 7.1%
- სხვა 1.2%

⁴ უმაღლესდამთავრებულთა ასეთი მაღალი მაჩვენებელი არ ემთხვევა ოფიციალურ სტატისტიკას, რადგან პოსტსაბჭოურ პერიოდში გაიხსნა მრავალი კერძო უმაღლესი სასწავლებელი, რომელთაც სამართლებრივად არ ჰქონდათ მოწესრიგებული კურსდამთავრებულთა ბაზები, ამასთან მათმა დიდმა ნაწილმა აკრედიტაცია ვერ გაიარა; გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში არ ხდება/ვერ ხერხდება იმ შემთხვევების აღრიცხვა, როდესაც საქართველოს მოქალაქეები უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში იღებენ განათლებას.

პროცენტული მაჩვენებლები დათვლილია იმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში, რომლებსაც აქვთ პროფესია.


პროფესია არ აქვს 27.1%-ს.



საქმიანობა:

- უმუშევარი 23.0%
- დიასახლისი 19.1%
- პენსიონერი 14.2%
- სტუდენტი 9.1%
- უმაღლესი განათლების მქონე სხვადასხვა პროფილის სპეციალისტი 5.7%
- კვალიფიციური მუშა, ხელოსანი 4.2%
- ლიტერატურის, ხელოვნების სპორტის მუშაკი 2.4%
- არასამთავრობო სექტორის, მასმედიის მუშაკი 1.5%
- განათლების სფეროს მუშაკი 4.7%
- ჯანდაცვის სფეროს მუშაკი 3.1%
- სახელმწიფო მოხელე/ჩინოვნიკი 2.7%
- მომსახურების ან ვაჭრობის სფეროს მუშაკი 2.1%
- საკუთარი ბიზნესი 2.4%
- თვითდასაქმებული 3.4%
- სხვა 2.4%

საქმიანობა




საქმიანობათა განაწილების მიხედვით, საკმაოდ მაღალია რეგულარულად ანაზღაურებადი საქმიანობის არმქონეთა ხვედრითი წილი: უმუშევრების, დიასპორის, პენსიონერებისა და სტუდენტების საერთო მაჩვენებელი დაახლოებით 65.4%-ია.

როგორც პროფესია და საქმიანობათა სიხშირეების შედარება აშკარად გამოკვეთს, მცირეა საკუთარი პროფესიის მიხედვით დასაქმებულთა მაჩვენებელი.

ეს მნიშვნელოვანწილად იმით შეიძლება აიხსნას, რომ უმაღლესი განათლების მქონეთა პროფესიული კომპეტენცია და რაოდენობრივი მაჩვენებელი თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების არაადეკვატურია.

რესპონდენტთა 98.5% არ არის ნასამართლელი:

ხართ თუ არა ნასამართლელი?




ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასება:

საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასების საშუალო მაჩვენებელი **საშუალოზე დაბალია: 2.31** ქულა ხუთქულიან სკალაზე⁵.

შენიშვნა: ძალიან მაღალი შემოსავლის მქონეთა კატეგორია იმდენად მცირე ხვედრითი წილით (0.4%) იყო წარმოდგენილი, რომ რესპონდენტთა ამ ჯგუფის სტატისტიკურ ანალიზში ჩართვა ვერ მოხერხდა (მონაცემთა სტატისტიკური დამუშავებისას იგი საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონეთა ჯგუფთან გაერთიანდა).

საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასება




დამოკიდებულება ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასებასა და შემოსავლებს შორის:


| ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასება | პირადი ყოველთვიური შემოსავლის საშუალო მაჩვენებელი ლარებში | ოჯახის ყოველთვიური შემოსავლის საშუალო მაჩვენებელი ლარებში |
|--|---|---|
| უკიდურესად დაბალი შემოსავლის მქონე | 60 | 123 |
| საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე | 126 | 318 |
| საშუალო შემოსავლის მქონე | 167 | 444 |
| მაღალი შემოსავლის მქონე | 241 | 685 |

⁵ 1 ყველაზე დაბალი (უკიდურესად დაბალი შემოსავლის მქონე), ხოლო 5 ყველაზე მაღალი (ძალიან მაღალი შემოსავლის მქონე) შეფასებაა.

ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასების კავშირი პირად შემოსავალთან (ლარებში)



ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასების კავშირი ოჯახის შემოსავალთან (ლარებში)




პირადი ყოველთვიური შემოსავლების საშუალო მაჩვენებელი დაახლოებით 150 ლარია, ხოლო ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი, საშუალოდ – 370 ლარი.

ინფორმირებულობა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ

რესპონდენტთა უმრავლესობას: 62.2% სმენია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ. ინფორმაციის ძირითად წყაროებს ტელევიზია, მხატვრული ფილმები და მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს.

კითხვაზე: „საიდან გსმენიათ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ?“ მიღებული პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

- მხატვრული ლიტერატურიდან 24,0%
- სკოლაში 1,8%
- უმაღლეს სასწავლებელში 9,6%
- ფილმებიდან 38,3%
- ტელევიზიით 13,5%
- ნაცნობ-მეგობრებიდან 9,6%
- სხვა 3,1%




შესაბამისად, ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ ხშირ შემთხვევაში, კონკრეტულ ცოდნას მოკლებული – ზოგადი ხასიათისაა:

კითხვას: „როგორ იღებენ გადაწყვეტილებას განსასჯელის ბრალეულობის შესახებ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე: ღია კენჭისყრით, თუ დახურული კენჭისყრით?“, დაახლოებით მეხუთედი არასწორად ან ვერ პასუხობს:

- ღია კენჭისყრით 14,5%
- დახურული კენჭისყრით 79,6%
- მიჭირს პასუხის გაცემა 5,9%


rogor iReben gadawyvetil ebas nafi c msakul Ta sasamarTI oze?



კითხვას, „ვინ იღებს გადაწყვეტილებას განსასჯელის ბრალეულობის შესახებ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე?“ რესპონდენტთა 60%-მდე არასწორად ან ვერ პასუხობს:

- მოსამართლე 15.8%
- ნაფიცი მსაჯულები 42.7%
- მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებას იღებენ ერთად 37.4%
- მიჭირს პასუხის გაცემა 4.0%

vin iRebs gadawyvetil ebas gansaj el Is bral eul obis Sesaxeb?




კითხვას, „ვინ არ შეიძლება იყოს არჩეული ნაფიც მსაჯულად?“, რესპონდენტთა დიდი ნაწილი არასწორად/არასრულყოფილად პასუხობს:

- სტუდენტი 26.1%
- სახელმწიფო თანამდებობის პირი⁶ 38.3%
- პენსიონერი 17.9%
- დიასახლისი 7.5%
- სასულიერო პირი 7.8%
- იურისტი 3.7%
- ნასამართლესი 74.8%
- მიჭირს პასუხის გაცემა 3.5%

შენიშვნა: პასუხების ჯამი აჭარბებს 100%-ს, რადგან დასაშვებია იყო კითხვაზე რამდენიმე პასუხის გაცემა.

საინტერესოა, რომ ინფორმირებულობის ხარისხი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქართველოში შემოღების შესახებ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზოგადად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ინფორმირებულობის ხარისხს: რესპონდენტთა უმრავლესობას: 60.1%-ს, არ სმენია იმის შესახებ, რომ საქართველოში უნდა ამოქმედდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

გსმენიათ თუ არა იმის შესახებ, რომ საქართველოში უნდა ამოქმედდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?



⁶ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები არიან: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრები, საქართველოს მთავრობის წევრები, აფხაზეთისა და აჭარის პარლამენტის წევრები, აფხაზეთისა და აჭარის მთავრობის წევრები. რესპონდენტები შეკითხვას პასუხობდნენ ზუსტი განმარტების მიხედვით, რომელიც ბარათის მეშვეობით მიეწოდათ.

დამოკიდებულება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების მიმართ

იმ რესპონდენტთა 4.9%-ს, რომელთაც სმენიათ იმის შესახებ, რომ საქართველოში უნდა ამოქმედდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, უჭირს ამ ინსტიტუტის შემოღების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების შეფასება.

საშუალო შეფასება ხუთქულიან სკალზე⁷ დაახლოებით 4 ქულაა, მაგრამ მედიანური მაჩვენებელი⁸ 5-ს უტოლდება.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ:

- **დამოკიდებულება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მიმართ, მკვეთრად დადებითია.**
- **რესპონდენტებს უჭირთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ თავიანთი დამოკიდებულების განმსაზღვრელი მოტივაციების დასახელება – მათი პასუხები რიგ შემთხვევაში არაარგუმენტირებული, კონკრეტულ ხასიათს მოკლებული ან არაადეკვატურია:**

დადებითი შეფასებების მოტივაცია – სულ, 59.6%

| | |
|---|-------|
| 1. გაამართლებს | 18.2% |
| 2. გაამართლებს, რადგან უცხოეთში ამართლებს | 3.0% |
| 3. ალბათ უფრო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებენ | 19.4% |
| 4. კარგი იქნება სასამართლოს ტიპის შეცვლა | 1.8% |
| 5. თუ შემადგენლობა ღირსეულია, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ | 2.1% |
| 6. აბსოლუტურად მისაღები და აუცილებელია | 2.7% |
| 7. ნაკლებად კორუმპირებული იქნებიან | 1.8% |
| 8. ერთმანეთის და ხალხის აზრს გაითვალისწინებენ | 1.5% |
| 9. არსებული არ ამართლებს, იქნებ ამან გაამართლოს | 2,4% |
| 10. ერთიანი გადაწყვეტილება უფრო ობიექტური იქნება | 6.7% |

უარყოფითი შეფასებების მოტივაცია – სულ 3.0%:


| | |
|------------------------------|------|
| 1. შეეჭვება, რომ გაამართლებს | 3,0% |
|------------------------------|------|

მიჭირს პასუხის გაცემა 16.2%.

⁷ 1 ყველაზე დაბალი, ხოლო 5 ყველაზე მაღალი შეფასებაა.

⁸ მედიანური მაჩვენებელი (მედიანა) ჯგუფის ცენტრალური ტენდენციის ერთ-ერთი მაჩვენებელი: თუ ყველა მონაცემს რიგის (ზრდის ან კლების) მიხედვით დავალაგებთ, მედიანური მაჩვენებელი ამ რიგის შუაში მდებარეობს.

მოტივაციები



დადებითი შეფასებების მოტივაცია უარყოფითი შეფასებების მოტივაცია მიჭირს პასუხის გაცემა სხვა

სხვა პასუხების სიხშირეები უმნიშვნელოა (თითოეული მათგანი 1%-ზე ნაკლებია) და მათი საერთო ხვედრითი წილი 21.2%-ს შეადგენს.

მოტივაციათა ჩამონათვალის დახედვით დავასკვნათ, რომ:

- დადებითი მოტივაციები სჭარბობს უარყოფითს
- კონკრეტული ხასიათის დადებით მოტივაციებს შორის აქცენტი პიროვნულ ფაქტორებზე კეთდება.

რესპონდენტთა ამ კატეგორიას საშუალება ჰქონდა შეეფასებინა, აგრეთვე, საზოგადოების სავარაუდო დამოკიდებულება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედების მიმართ. 33.8%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა.

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ საზოგადოების სავარაუდო დამოკიდებულება 5 ქულიან სკალაზე საშუალოდ 4 ქულით შეფასდა.

დადებითი შეფასებების მოტივაცია – სულ 57.8%:

| | |
|--|-------|
| 1. ობიექტური იქნება | 11.9% |
| 2. ყველას უნდა სამართლიანობა ქვეყანაში | 12.3% |
| 3. მიუკერძოებელი იქნებიან | 3.1% |
| 4. საზოგადოებისათვის აუცილებელია | 1.8% |
| 5. არ იქნება ერთპიროვნული გადაწყვეტა | 6.2% |
| 6. განამტკიცებს სამართლიანობას | 7.5% |
| 7. თუ ყველაფერი სამართლიანად განხორციელდა, ყველასათვის მისაღები იქნება | 4.8% |

- | | |
|--|------|
| 8. სასამართლოს შეცვლა სასურველია | 2,2% |
| 9. ყველასათვის მისაღები იქნება | 4.0% |
| 10. იმედია | 1.8% |
| 11. მოსყიდვა ნაკლებად გახდება შესაძლებელი, კორუფცია შემცირდება | 2.2% |


უარყოფითი შეფასებების მოტივაცია _ სულ 12.7%:

- | | |
|--|------|
| 1. ზოგისთვის მიუღებელია | 7.9% |
| 2. ყველამ არ იცის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ | 4.8% |

მიჭირს პასუხის გაცემა 15.3%

სხვა პასუხების სიხშირეები უმნიშვნელოა (თითოეული მათგანი 1%-ზე ნაკლებია) და მათი საერთო ხვედრითი წილი 14.2%-ს შეადგენს.

მოტივაციები




ეს ჩამონათვალი, ერთი მხრივ, იმეორებს პირადი შეფასებების მოტივაციათა ხასიათს:

- დადებითი მოტივაციები სჭარბობს უარყოფითს
- კონკრეტული ხასიათის დადებით მოტივაციებს შორის აქცენტი პიროვნულ ფაქტორებზე კეთდება.

მეორე მხრივ, საინტერესო სპეციფიკით ხასიათდება:

- საზოგადოების სახელით რესპონდენტები მეტ კრიტიკულობას ამჟღავნებენ ამჟამინდელი სასამართლო სისტემის მიმართ, რასაც მოწმობს პასუხები: "ყველას უნდა სამართლიანობა ქვეყანაში", "სასამართლოს შეცვლა სასურველია", "კორუფცია შემცირდება" და სხვა.
- იკვეთება სკეპტიკური დამოკიდებულება საზოგადოების მზაობის მიმართ რეფორმისადმი: "ყველამ არ იცის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ", "ზოგისთვის მიუღებელია".
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეფასება დამოკიდებული აღმოჩნდა შემოსავლებსა და ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასებაზე:

nafic msaj ul Ta sasamarTI os Sefasebis damokidebul eba ekonomikur mdgomareobaze



ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ მკვეთრად დადებითი განწყობა გამოიკვეთა რესპონდენტთა იმ კლასტერებში (ჯგუფებში), რომლებიც საკუთარ ოჯახს აფასებენ როგორც უკიდურესად დაბალი შემოსავლის მქონეს (პირადი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი: 60 ლარი, ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი: 123 ლარი) ან საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონეს (პირადი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი: 241 ლარი, ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი: 685 ლარი).


დანარჩენი ორი კლასტერი შედარებით თავშეკავებულია. ეს კლასტერებია:

საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე, მაგრამ არა უკიდურესად ღარიბი (პირადი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი: 126 ლარი, ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი: 318 ლარი).

საშუალო შემოსავლის მქონე (პირადი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი: 167 ლარი, ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი: 444 ლარი) ამ კლასტერების პოზიციები, შემდეგი არგუმენტებით შეიძლება იყოს მოტივირებული:

- უკიდურესად ღარიბს "დასაკარგი" არაფერი აქვს, სიახლე კი ყოველთვის პოტენციური შანსების შემცველია;
- საშუალო შეძლების მქონეს აქვს არსებულის დაკარგვის შიში, მაგრამ არ გააჩნია განსაკუთრებული სიფრთხილის მოტივაცია;
- ერთი შეხედვით, ალოგიკურია საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონეთა პოზიცია. წესით ისინი არსებულ მდგომარეობას უნდა იცავდნენ. მათი რადიკალურად დადებითი დამოკიდებულება სიახლეებისადმი, არსებული სიტუაციის მიმართ უნდობლობით ან იმით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ საკუთარი მდგომარეობის დასაცავად რაც შეიძლება მყარ გარანტიებზე არიან ორიენტირებულნი და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სწორედ ერთ-ერთ ასეთ გარანტიად ესახებათ. ეს საკითხი უფრო ღრმა, ფოკუსირებულ კვლევას საჭიროებს.
- დაფიქსირდა განსხვავება რეგიონებს შორისაც: საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მიზანშეწონილობა ყველაზე მაღალი მაჩვენებლით შეფასდა ქუთაისში, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლით, თბილისში:

რამდენად მისაჩვენებელია ნაწიკ მსაჯ ულ ტა სასამართლის ამოქმედება საკრთველ ოსი?



დამოკიდებულება ამჟამად არსებული სასამართლო სისტემის მიმართ


რესპონდენტთა 83.1% ბოლო სამი წლის განმავლობაში სასამართლო პროცესს არ დასწრებიან.

იმ რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი: 87.6%, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ, პროცესზე დამსწრის სტატუსით იმყოფებოდა.

კითხვაზე: "რა სტატუსით ესწრებოდით სასამართლოს?" მიღებული პასუხების სიხშირეები, ზოგადად, შემდეგნაირია:

- პრაქტიკანტი 3.8%
- დამსწრე 87.6%
- მოწმე 7.7%
- მოსარჩელე 4.3%
- დაზარალებული 2.5%
- ადვოკატი 3.2%
- ბადრაგი 0.3%
- მოპასუხე 0.3%
- ადვოკატის თანამემწე 1.1%
- ბრალდებული 1.5%
- დამკვირვებელი 1.5%
- ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი 0.6%
- სხვა 3.2%

შენიშვნა: პასუხების ჯამი აჭარბებს 100%-ს, რადგან დასაშვები იყო კითხვაზე რამდენიმე პასუხის გაცემა.



- **დამოკიდებულება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ, ნეგატიურისკენ არის გადახრილი:**

რესპონდენტებს ხუთქულიანი სკალით⁹ უნდა შეეფასებინათ რამდენად მისაღებია მათთვის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საშუალო მაჩვენებელი 2.7 ქულით, ხოლო მედიანური 2.25 ქულით განისაზღვრა.

- **ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ ინფორმირებულობის ზოგადი ხასიათის ფონზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტთა დადებით განწყობას მნიშვნელოვანწილად სწორედ ამჟამინდელი სასამართლო სისტემის მიმართ გამოვლენილი კრიტიკული განწყობა განაპირობებს.**

⁹ 1 ყველაზე დაბალი, ხოლო 5 ყველაზე მაღალი შეფასებაა.

რესპონდენტთა დამოკიდებულება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და მისი ცალკეული ასპექტის მიმართ, ადეკვატური ინფორმაციის მიწოდების შემდეგ

მას შემდეგ, რაც რესპონდენტებმა საკუთარი ცოდნის საფუძველზე უპასუხეს ზემოთ გაანალიზებულ შეკითხვებს, ინტერვიუებმა მათ ბარათების მეშვეობით მიაწოდეს ზუსტი ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ და უფრო დეტალიზებული შეკითხვების მეშვეობით ხელახლა მოხდა დამოკიდებულების გამოკვლევა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ.

საშუალო შეფასებები შემდეგნაირია:

ბარათი №1. საშუალო შეფასება: **3.9** ქულა.

ბარათი №1.

1. წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, მის მიერვე განსაზღვრული ბიჯის გამოყენებით ადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას 50 პირის შემადგენლობით.
2. მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე ერთი კვირით ადრე მსაჯულობის კანდიდატებს ეგზავნებათ უწყება, სადაც მითითებულია სასამართლო სხდომის დაწყების ადგილი და დრო, აგრეთვე ამ კანონით განსაზღვრული აცილების საფუძველები.
3. მხარე უფლებამოსილია, დააყენოს მსაჯულობის კანდიდატთა აცილების შესახებ შუამდგომლობა. აცილების უფლებას პირველი ახორციელებს ბრალდების მხარე და შემდეგ დაცვის მხარე. თვითაცილება ხორციელდება დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე.
4. აცილებათა შემდეგ დარჩენილი პირველი თოთხმეტი მსაჯული შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში, რომელთაგან პირველი თორმეტი კანდიდატი სხდომის თავმჯდომარის მიერ ინიშნება ნაფიც მსაჯულად, ხოლო ორი საქმის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს, როგორც სათადარიგო მსაჯული.

ბარათი №2. საშუალო შეფასება: **4.12** ქულა.

ბარათი №2.

პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის ფუნქციის განხორციელებაზე, თუ:

- ა) უკანასკნელი წლის განმავლობაში იგი უკვე იყო ნაფიცი მსაჯული;
- ბ) იგი ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზარალს;
- გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;
- გ) ხანგრძლივი ვადით იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ;
- დ) იგი 70 წელს გადაცილებულია.

ბარათი №3. საშუალო შეფასება: **4.12** ქულა.

ბარათი №3

1. ნაფიცი და სათანადო მსაჯულებს ეკრძალებათ:
 - ა) პროცესის მიმდინარეობისას სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვება;
 - ბ) ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით;
 - გ) განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა სხვა პირებთან ურთიერთობა;
 - დ) განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სასამართლო სხდომის ფარგლებს გარეთ;
 - ე) მსაჯულთა თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა;
 - ვ) ნაფიცი მსაჯულებს ევალებათ დაიცვან წესრიგი სასამართლოს შენობაში და შეასრულონ მოსამართლის შესაბამისი მითითებები.
2. ნაფიცი მსაჯული მოვალეა ესწრებოდეს განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო სხდომებს და თათბირს.
3. მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

ბარათი №4. საშუალო შეფასება: **3.85** ქულა.

ბარათი №4

თუ მეორე მოწვევის ნაფიცი მსაჯულებიც ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას ვერდიქტთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ უნდა დაითხოვოს ნაფიცი მსაჯულები და გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.

ბარათი №5. საშუალო შეფასება: **3.87** ქულა.

ბარათი №5

ნაფიცი მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის შემდეგ უფროსი მსაჯული თანმიმდევრულად აყენებს ღია კენჭისყრაზე თითოეულ საკითხს მოსამართლის მიერ განსაზღვრული რიგითობით და ფორმულირებით. უპირველეს ყოვლისა კენჭი ეყრება ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი მიღწეული არ არის, კენჭი ეყრება გამატყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანმიმდევრობით.

ბარათი №6. საშუალო შეფასება: **3.83** ქულა.

ბარათი №6

1. თუ ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის ზომის შემამსუბუქებელ რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის

უფლებამოსილი, ბრალდებულს შეუფარდოს სისხლის სამართლის კოდექსით ამ დანაშაულისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ზომის ორ მესამედზე მეტი.

2. თუ ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის ზომის დამამძიმებელ რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს შეუფარდოს სისხლის სამართლის კოდექსით ამ დანაშაულისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ზომის ორ მესამედზე ნაკლები.

ბარათი №7. საშუალო შეფასება: **3.58** ქულა (მიჭირს პასუხის გაცემა – 14.3%).

ბარათი №7

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და გადასინჯვას არ ექვემდებარება.

- *მთლიანობაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მიზანშეწონილობა ხუთქულიან სკალაზე¹⁰ 4.1 ქულით შეფასდა.*
- *საინტერესოა, რომ დამოკიდებულებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ ძირითადად ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პრინციპები განაპირობებს და არა გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები:*

როგორც ფაქტორული ანალიზის¹¹ შედეგად გამოვლინდა, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის წესი (ბარათი№1), ნაფიცი მსაჯულის ფუნქციის შესრულებაზე უარის თქმის მექანიზმები (ბარათი№2), ნაფიც და სათადარიგო მსაჯულთა მიმართ წაყენებული აკრძალვები (ბარათი№3) რესპონდენტების მიერ ერთ ფაქტორად – ერთიან მოვლენად (ერთიან კომპლექსად) აღიქმება. ამ ფაქტორს პირობითად ნაფიც მსაჯულთა შერჩევის წესი შეიძლება ეწოდოს.


სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შესახებ (ბარათი№4), კენჭისყრის პრინციპი (ბარათი№5), სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილების შეზღუდვა ნაფიც მსაჯულთა პოზიციით (ბარათი№6) და გამამართლებელი განაჩენის საბოლოობა (ბარათი№7) კი ცალკე ფაქტორად (კომპლექსად) გამოიყო. ამ ფაქტორს პირობითად ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები შეიძლება ეწოდოს.

- *ამასთან, რესპონდენტთა ზოგად დამოკიდებულებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ, პირველი ფაქტორი 62%-ით განსაზღვრავს, მეორე კი – მხოლოდ 11%-ით.*


¹⁰ 1 ყველაზე დაბალი, ხოლო 5 ყველაზე მაღალი შეფასებაა.

¹¹ ფაქტორული ანალიზი: სტატისტიკური ანალიზის მეთოდი. იგი საშუალებას გვაძლევს საკვლევი მოვლენის გამომწვევი მიზეზები დავყოთ ჯგუფებად – ფაქტორებად, რომლებიც ზოგადი ხასიათისაა და ერთობლივი/ჯგუფური მოქმედების ეფექტით ზემოქმედებს საკვლევი მოვლენაზე. თითოეული ფაქტორი განსხვავებული ხვედრითი წილით იწვევს საბოლოო შედეგს.

ნაწიკ მსაჯ ულ ტა სასამართლო სისტემის მიმართ დამოკიდებულ ების განმარტობებელი ორი ფაქტორი



იგივე შედეგი აჩვენა რეგრესიულმა ანალიზმა¹², რომლის მეშვეობითაც განისაზღვრა ბარათებით მიწვდილი თითოეული დებულების ხვედრითი წილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ ზოგადი დამოკიდებულების ფორმირებაში: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ დამოკიდებულების განსაზღვრისას ყველაზე მეტი წონა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის წესს, ფუნქციის შესრულებაზე უარის თქმის მექანიზმებსა და მსაჯულთა მიმართ წაყენებულ აკრძალვებს მიენიჭა. თვითონ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები უკანა პლანზეა გადატანილი:



¹² რეგრესიული ანალიზი: სტატისტიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც საკვლევი მოვლენის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებისა და თითოეული მიზეზის ხვედრითი წილის განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს.

ასეთი შედეგი იმის მაჩვენებელია, რომ ლეგიტიმურ/ფორმალურ ფაქტორებთან შედარებით, ჯერ კიდევ პიროვნულ ფაქტორებს ენიჭება უპირატესობა _ მთავარია არა კანონი, არამედ ის, თუ ვის ხელშია იგი.

მოტივაციები

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ მიღებული ინფორმაციის ანალიზისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის, რომ:

- რესპონდენტთა მოტივაციებმა ბევრად უფრო კონკრეტული ხასიათი მიიღო.
- მკვეთრად გაიზარდა კონკრეტული ხასიათის დადებითი შეფასებების მოტივაციათა რაოდენობრივი მაჩვენებელი.
- შემცირდა უარყოფით შეფასებათა მოტივაციების ხვედრითი წილი.

ეს შედეგები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს საზოგადოებაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის გავრცელების აუცილებლობაზე.

დადებითი შეფასებების მოტივაცია _ სულ 68.5%:


| | |
|---|-------|
| 1. სამართლიანობისათვის ეფექტური იქნება | 16.9% |
| 2. ეფექტური იქნება, თუ კანონიერად განხორციელდება | 4.4% |
| 3. თუ ჩვენი ქვეყნისთვის კარგი აღმოჩნდება, თავისთავად კარგია | 1.1% |
| 4. უფრო ობიექტური იქნება, თუ მარტო მოსამართლე არ გამოიტანს განაჩენს | 23.3% |
| 5. ახლანდელის შეცვლა სასურველია | 3.0% |
| 6. იმედია, გაამართლებს | 3.3% |
| 7. ნაკლებად კორუმპირებულნი იქნებიან | 2.1% |
| 8. სწორი გადაწყვეტილების მიღების მეტი შანსია | 3.3% |
| 9. დემოკრატიულია | 1.3% |
| 10. იქნება ობიექტური და გამჭვირვალე | 1.9% |
| 11. განაჩენი უფრო სარწმუნო იქნება | 3.1% |
| 12. რადგან უცხოეთში ამართლებს, აქაც გაამართლებს | 1.4% |
| 13. აბსოლუტურად მისაღებია | 2.4% |
| 14. სასამართლო იქნება ხალხის აზრთან ახლოს | 1.0% |

უარყოფითი შეფასებების მოტივაცია _ სულ 9.6%:

| | |
|--|------|
| 1. ამ ქვეყანაში არ გაამართლებს | 7.9% |
| 2. არ ვენდობი, არ იქნება დამოუკიდებელი | 1.7% |
| 3. მიჭირს პასუხის გაცემა | 8.6% |

სხვა პასუხების სიხშირეები უმნიშვნელოა (თითოეული მათგანი 1%-ზე ნაკლებია) და მათი საერთო ხვედრითი წილი 13.3%-ს შეადგენს.

მოტივაციები



დადებითი შეფასებების მოტივაცია უარყოფითი შეფასებების მოტივაცია მიჭირს პასუხის გაცემა სხვა

- ხაზგასმით გამოიკვეთა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის სამართლიანობისა და ობიექტურობის განსაკუთრებული მნიშვნელობა:

პასუხების: სამართლიანობისათვის ეფექტური იქნება, უფრო ობიექტური იქნება, ნაკლებად კორუმპირებული იქნება, სწორი გადაწყვეტილების მიღების მეტი შანსია, იქნება ობიექტური და გამჭვირვალე, უფრო სარწმუნო/სანდო იქნება, იქნება ხალხის აზრთან ახლოს _ საერთო სიხშირე 50%-ს აჭარბებს.

- დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების მიმართ იკვეთება საკმაოდ მაღალი ხარისხის სოციალური მოთხოვნა/შეკვეთა, მაგრამ ამ მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს არა სასამართლოს დამოუკიდებლობის აბსტრაქტული პრინციპი, არამედ კონკრეტულად სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობა, სამართლიანობა, მისაღებობა საზოგადოების მიერ.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს უარყოფითი არგუმენტებიც, საიდანაც ჩანს, რომ ამჟამინდელი სასამართლო სისტემა საზოგადოებაში ეჭვებსა და უნდობლობას იწვევს.

მოლოდინები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ

რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილს: 26.4%-ს გაუჭირდა შეეფასებინა თუ რამდენად წარმატებული იქნება ნაფიც მსაჯულთა შემოღება საქართველოში – რეალურად უზრუნველყოფს სასამართლოს მაქსიმალურ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

საშუალო შეფასება დადებითისიკენ არის გადახრილი: დაახლოებით 3.6 ქულა ხუთქულიან სკალაზე, სადაც 1 მინიმალური, ხოლო 5 მაქსიმალური შეფასებაა, მაგრამ შესამჩნევად ჩამორჩება რესპონდენტთა დადებითი განწყობის მაჩვენებლებს ზოგადად ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ.

ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა განწყობა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ უფრო დადებითია, ვიდრე მოლოდინი ჩვენს ქვეყანაში ამ ინსტიტუტის წარმატებული ფუნქციონირების შესახებ, სხვადასხვა ფაქტორის ერთობლივი მოქმედების ეფექტით შეიძლება აიხსნას. მაგალითად, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ იმის გაცნობიერებით, რომ ამ პროცესებს საზოგადოების არასამართლებრივი მენტალიტეტი შეუშლის ხელს, სკეპტიკური დამოკიდებულებით გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მიმართ და სხვა.

კონკრეტული დასკვნების გამოტანა ამ მიმართულებით, საკითხის შემდგომ კვლევას საჭიროებს, მაგრამ ამ ვარაუდს გარკვეულწილად რესპონდენტთა მიერ დასახელებული შეფასებათა მოტივაციებიც ასაბუთებს:

დადებითი შეფასებების მოტივაცია – სულ 63.7%:


- | | |
|---|-------|
| 1. ვენდობი, მჯერა, რომ რომ მიუკერძოებელი იქნება | 21.0% |
| 2. თუ ყველაფერი კანონიერად ჩატარდება, იქნებ მივაღწიოთ სასამართლოს დამოუკიდებლობას | 6.5% |
| 3. იმედია, გაამართლებს | 11.1% |
| 4. არაკორუმპირებული იქნება | 4.8% |
| 5. ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებენ | 4.1% |
| 6. კოლეგიალური გადაწყვეტილება მისაღები იქნება | 2.6% |
| 7. ახლანდელზე უკეთესი იქნება | 2.5% |

უარყოფითი შეფასებების მოტივაცია – 26.2%:

- | | |
|---|-------------|
| 1. არ ვენდობი | 15.4% |
| 2. ეჭვი მეპარება, რომ მთავრობა ჩაერევა და ზეწოლა იქნება | 5.4% |
| 3. არ ვარ დარწმუნებული არჩევნების ობიექტურობაში | 1.0% |
| 4. კორუმპირებულნი იქნებიან | 1.4% |
| 5. დღევანდელ პირობებში შეიძლება არ გაამართლოს | 3.0% |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 2.3% |

სხვა პასუხების სიხშირეები უმნიშვნელოა (თითოეული მათგანი 1%-ზე ნაკლებია) და მათი საერთო ხვედრითი წილი 7.8%-ს შეადგენს.

მოტივაციები



დადებითი შეფასებების მოტივაცია უარყოფითი შეფასებების მოტივაცია მიჭირს პასუხის გაცემა სხვა

მიმართება სასამართლო პროცესის დამოუკიდებლობისადმი

რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი: 74.8% აცნობიერებს, რომ სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს კონტროლისაგან, მაგრამ დაახლოებით 25% (დაახლოებით ყოველი მეოთხე გამოკითხული) თვლის, რომ მისი კონტროლი აუცილებელია.

კითხვაზე: "თქვენი აზრით, ვინ უნდა აკონტროლებდეს ძირითადად სასამართლო პროცესს?" მიღებული პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

- ზემდგომი სასამართლო ორგანოები 4.2%
- არავინ, სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი 74.8%
- არასამთავრობო ორგანიზაციები 3.1%
- ადგილობრივი მოსახლეობა 6.4%
- მასმედია 5.5%
- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 5.1%
- სხვა 0.9%

თქვენი აზრით, ვინ უნდა აკონტროლებდეს ძირითადად სასამართლო პროცესს

